სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/16

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სტუ-ს ვიცე-რექტორის, თამარ ლომინაძის 2026 წლის 24 მარტის MES 5 26 0000351814 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/33 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილება და ინსტიტუტის განთავსების ადგილად განისაზღვროს: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, მე-6 სასწავლო კორპუსი;
2. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ნოემბრის №01-06-02/76 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დებულების პირველ მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   „6. ინსტიტუტის მისამართია: ქალაქი თბილისი, კოსტავას ქ. №77.“;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი,
პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**